

ფასი 40 გავ.


6

ე. გვივალი და ლ. ქიმიძე ც 040620
ს 062019000000

8-354-3

K 4.103
1 av

ვ ა ზ ი ს ე ყ ნ ღ ბ ა



ს ა ხ ე ლ გ რ ი ფ ი ვ ი ს ა მ ა ვ ი ვ ე ლ თ ა ა
თ ვ ი ლ ი ს 0—1932

25. Բ. 8203260 Բ. Բ. ՏՈՒՐԻ



K 4.103
1/α

ՅԱԶՈՒ ՅԱԳՈՒՅԱ



1932

1932 ՅԱՅՈՒՅԱ ՅԱԳՈՒՅԱ ՅԱՅՈՒՅԱ

ԳՐԱԴԱՐԱՆ



სახელმწიფო 1-ლი სტამბა,
პლესან. პრ. № 91.
შეკვ. № 408 მთავრ. № 764.
ტიკი 4000.



52 [1] გვ. 606 15 69 405

ჭინასიტუვაობა.

საზოგადოდ, მცენარე მრავლდება ბუნებრივად და ხელოვნურად. მცენარის თესლის საშუალებით გამრავლება ბუნებრივია. ტოტით, გადაწვენით, კვირტით, ფესვებით, მყნობით და სხვა საშუალებით გამრავლება კი ხელოვნურია.

საერთოდ, მყნობით გამრავლდება რომელიმე არჩეული სახე ანუ ჯიში მცენარისა. მყნობას კაცობრიობა დიდი ხანია იცნობს. დღესაც მას მებალეობაში ხშირად ხმარობენ, როდესაც რომელიმე რჩეული და კარგი ჯიშის მცენარის გაშენება უნდათ. ვაზს წინად ამყნობდენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე დაწუნებულ ჯიშის მაგიერ ძირეულ ვაზზე დაამყნიდენ სხვა რჩეულსა და კარგ ჯიშს. ჩვენში ვაზის მყნობა ამ 40 წლის წინედ დაიწყეს, როგორც ჩვენში, ისე ევროპის მევენახეობა-მელვინეობის ქვეყნებში ვაზის მყნობა გამოიწვია მისმა უძლიერესმა მტერმა, რომელსაც ფილოქსერას უწოდებენ. ყოველ ქართველ სოფლის გლეხს გაუგონია ფილოქსერა და წარმოდგენილიც აქვს, თუ რა დიდსა და განმანადგურებელ ზარალს აყენებს ეს თვალთ უხილავი მწერი ვაზს. შეესევა თუ არა ფილოქსერა ვენახს, სულ რამოდენიმე წელიწადში გაანადგურებს მას. ევროპის ქვეყნებში ფილოქსერა

პირველად საფრანგეთს ესტუმრა და 10-15 წლის განმავლობაში თითქმის სულ მოსპო ვენახები. საფრანგეთს მთავარი შემოსავალი კი მევენახეობა, მელვინელი ჩრდილოეთი მოები იყო და ამ გარემოებით, რასაკვირველია, სილატაკის პირს მიაყენა და დიდ საგონებელში ჩააგდო მისი მთავრობა. მაშინდელმა მეცნიერებმა მრავალი კვლევა-ძიებისა და ცდების შემდეგ მიაგნეს ამერიკაში ვაზის ველურ ჯიშებს, რომლის ფესვებს ფილოქსერი არ ეკარება და რომც მიეკაროს დიდ ვნებას ვერ აყენებს. მათ გადმოიტანეს ეს ჯიშები ამერიკიდან ევროპაში, მოაშენეს აქ და იწყეს მის ლერწებზე ევროპიული მსხმოიარე ჯიშების მყნობა და ამ საშუალებით ააღორძინეს ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახები. ამას გარდა ცდებით დამტკიცდა, რომ გარდა ამერიკულ საძირე ვაზისა, ფილოქსერისთან ბრძოლა შეიძლება ვენახის სილნარ მიწებზე გაშენებით, ნიადაგის სხვადასხვა გვარ საწამლავ სითხით მოწამვლით და ვენახში ოთხი გოჯის სილრმეზე 40 დღე და ღამე წყალის გაჩერებით, ამ უკანასკნელ საშუალებებს ყოველგან ვერ გამოვიყენებთ და თანაც ბევრი ისეთი ნაკლიც აქვს, რომ ის მიუღებელი შეიიქნა.

გამოირკვა, რომ ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველ საუკეთესო საშუალებად, ამერიკულ საძირებზე კარგ ნაყოფის მომცემ ვაზის ჯიშების მყნობა ითვლება.

ძველად და ახლაც, საქართველოს უდიდესი ნაწილის მშრომელ გლეხობის მთავარი საარსებო სახსარი მელვინეობა-მევენახეობის ნაწარმი ღვინო იყო და არის. საქმის

მტეიცე ცოდნით და გონივრული გაძლოლით საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის რაიონებში არის შესაძლებლობა საუცხოო ლირსების ღვინო დავაყენონ. ეს მტეიცე ბულმა ხელისულებამ ჩვენს ღვინოს ფართო ბაზარი შოუპოვა. დღეს საქართველოდან საზღვარგარეთ გააქვთ ღვინო. ჩვენი სავენახე მიწები სულ რომ ვენახებით დაიტაროს, მარტო საპოთა კავშირის ბაზრის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს. ჩვენ ევროპასაც უნდა გავაცნოთ ჩვენი ღვინო და ვაგრძნობით, რომ ვაზის სამშობლო საქართველოა. თითქმის აქედან გადაიტანეს და გაამრავლეს მათ ეს ოქროს მცენარე და თუ აქამდე ჩვენ ამ დარგში ჩამორჩენილი ვიყავით, მშრომელი მასის საქმის ბეჯითი გაძლოლით, სწავლა-მეცნიერების განვითარებით, ვაზის მოვლით და ღვინის დაყენების წესების მტეიცე შესწავლით და გაუმჯობესებულ ხელსაწყო-იარაღების შემოზიდვით, სულ ახლო მოშავალში საქართველოს ღვინომ მსოფლიო ბაზარზე საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს. რომ მეტის სისწრაფით აღსდგეს და გაფართოვდეს ჩვენი ვენახები, თვით მშრომელი გლეხობა უნდა შეეჩიოს და შეისწავლოს ვაზის მყნობა და მისი წესიერად მოვლა.

მევენახეობაში უფრო გაერცელებულია ეგრედშოდებული ინგლისური მყნობა. დამყნილი ვაზის გასახარებლად მზიან გაშლილ ადგილებზე აკეთებენ საზრდისს (ანუ სანერგე, საჩქოლე). ამყნობენ და ახარებენ აგრეთვე საგანგებოთ ამისათვის მოწყობილ საბორებებში, სადაც ნამყენს შეზრდა — შეხორცებამდე ინახავენ, შემდეგ დანი-

შნულ ადგილზე გადააქვთ დასარგავად ანდა შემოდგომაზ-
დე სანერგებში აჩერებენ. ეს უკანასკნელი წესი მომდევნობის
მოჩენილი მებალის „რიხტერი“—ს მიერ არის შემოღებუ-
ლი. ამ წესით მუშაობა მეტად ნაყოფიერია, მაგრამ სამ-
წუხაროდ მოუწყობელი სოფლის მეურნე ინდივიდუალუ-
რი გლეხი მას ვერ შესძლებს, რადგან ამ საქმეს საგანვებო
შენობები და აგრეთვე გამოცდილი მუშა-სპეციალისტი
კირდება. ამისათვის ამის ინიციატივა უნდა იღლონ კოლ-
მეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-
სამეურნეო არტელებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც
უკვე ბერკეტად გახდენ სასოფლო-მეურნეობის რეკონს-
ტრუქციის სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩვენ განვიზრახეთ, რასაკეირველია თუ შევძელით, ასე-
თი პატარა წიგნაკების გამოცემით მევენაზეობის თითქმის
ყველა საჭირო საკითხებს შევეხოთ, რაც, ჩვენის აზრით,
მცირეოდენ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სოფლის მეურ-
ნეს. ამ პარველ წიგნაკები ჩვენ მხოლოდ ვაზის მუნიბას
განვიზილავთ.

თ ა ვ ი —


ფ ი ლ ტ ა მ რ ა

ყველა ჩვენგანს ხშირად გაუგონია ფილოქსერა. ყველამ იცის თუ რა ვნებას აყენებს ის ვენახს, ხოლო ყველას ნათლად არ აქვს წარმოდგენილი თუ რაზი გამოიხატება მისგან მიყენებული ვნება. როგორ და რა პირობებში აყენებს იგი ვაზს ამ ვნებას. დაწვრილებით ამის ახსნა განმარტება შორს წაგვიყვანდა, რადგან ჩვენ მიერ დასახულ მიზანს მაინცდამაინც დიდად არ სჭირდება, ჩვენ მას მხოლოდ მოკლეთ ავსწერთ და ვაზზე მის მიერ მიყენებულ ზიანს შევეხებით.

ფილოქსერა იმდენად პატარა მწერია, რომ უიარალო თვალით მისი ხილვა ძნელია. კარგი მხედველი ვაზის ფესვებზე შეამჩნევს მხოლოდ რაღაცა მოყვითალო წინწერებს, თუმცა ვერც მის მოძრაობას შენიშნავს და ვერც მის ფორმას გაარჩევს.

ფილოქსერის კარგად დანახვა შეიძლება მხოლოდ გამადიდებელი შუშის საშუალებით. ამ გამადიდებელ შუშას „ლუპა“-ს უწოდებენ. უფრო კარგი გამადიდებელი ხელსაწყო „მიკროსკოპი“ არის. ფილოქსერის სიცოცხლე

და მისი არსება მეტად რთული და საინტერესოა. ის სხვა
დასხვა ხანაში-ასაკში სხვადასხვა სახეს იღებს: არის ფი-
ლოქსერა უსქესო და უფრო კუკის სახით, სერიუმის უსქესო
ფრთიანი. მათი გამრავლება და ცხოვრება მეტად
თავისებურია. უფრთო ფილოქსერა უფრო ფესვებს ახვევია,
ფრთიანი კი ფოთლებს. ვაზს სწორეთ ის ფილოქსერა
სპობს, რომელიც მის ფესვებს ახვევია. ამიტომაც აქ მხო-
ლოდ ამას ავჭერთ ჩვენ. მოყვანილობით ფესვების ფი-
ლოქსერა კვერცხივით მოგრძოა (იხ. სურ. 1) მას მოკლე




ნახ. 1.

თავი აქვს, რომელიც უშუალოდ შეერთებულია ტანთან.
თავზე ორი პატარა ულვაში აქვს აქეთ იქით გალერილი.
ზურგზე პატარ-პატარა აბურთული, მეჭეჭის მსგავსი ლა-
ქები ასხია. ტანი გარკვეული ხაზებით, ხაოჭებითაა დაყო-
ფილი. მას სამი წყვილი ფეხები აქვს. მისი პირი აკი მახ-
ვილი ხორთუმით განისაზღვრება, (იხ. სურ. № 1 -ბ. გ.),

რომლის საშუალებით ის ჩხველებს ვაზის ნორჩ წვრილ ფეხს ვებს და სწუწნის იქიდან წვენს. სურათ № 1-ბ-ზე გამოხა-
ხულია, თუ როგორ სწუწნის ფეხს ფილოქსერა ჰორნის ფეხი
მით, ვაზის ფეხსვიდან წვენს.



ნაჩ. 1ბ.



ნაჩ. 1გ.

ფილოქსერა გასაოცარი სისწრაფით მრავლდება. ზამ-
თარში ის სიცივეების გამო ღონე მიხდილია და გაბ-
რუებული უმოძრაოდ არის. გათბება თუ არა, გაზაფხულზე,
გაილვიძებს და იწყებს კვერცხის დებას (იხ. სურ. № 1ა)
რითაც ის მრავლდება. შემოდგომამდე რვა ახალი თაობა
იჩეკება; ერთი მწერი ამ ხნის განმავლობაში რამოდენიმე
მილიონ ახალ თაობას აჩენს. აი ასეთი აუწერელი სი-
სწრაფით გამრავლება არის იმის მიზეზი, რომ ფილოქსე-
რით დასნეულებული ვაზი მალე ესალმება წუთისოფელს.
ერთბაშად ფილოქსერა მთელ ვენახს არ მოედება, ის მხო-
ლოდ ალაგ-ალაგ გაჩნდება. გამრავლების შემდეგ ერთბა-

შად მოედება მთელ ვენახს. დაზიანებული ვაზი თბილია-
თან სუსტდება, ვაზის ყლორტებს მუხლები უმოკლდება,
გრძლად ველარ იყრის ტანს. პირველ ხანებში ჭარბი
ყოფის მოსხმას მოიმატებს, ნაყოფი კი გვიან მწიფდება,
დასუსტებულ ვაზს ზედმეტი ნაყოფის საზრდოება არ შე-



ნაზ. 2.

უძლია, ამით ეს უფრო სუსტ-
დება და 4-5 წლის განმავ-
ლობაში სრულიად ხმება.
სურ. № 2 ზე ნაჩვენებია ფრ-
თიანი ფილოქსერა, რომელიც
ეხვევა ვაზის ფოთლებს და
აჩენს მის ზედაპირზე ხო-
რქლებს (გალლებს) და ამით
დიდ ზიანს აყენებს ვაზს. ჩვენ
ზემოდ ავლნიშნეთ, რომ ფი-
ლოქსერა თავისი ხორთუმით
ვაზის ნორჩ ფესვებს სჩხვლეტს
და აქიდან წვენს სწორს. აქე-
დან ჩვენ უნდა წარმოვიდ-

გინოთ, რომ ფილოქსერა ამნაირად საზრდო ნივთიე-
რებას ართმევს ვაზს, რაც ასუსტებს მას. ამასთან ერთად
მეორე ვარემოებას უფრო მეტი შინიშვნელობა აქვს, რაც
ვაზის გახმობას ხელს უწყობს. ფილოქსერის მიერ დაჩვ-
ლეტილი ნორჩი ფესვების ნაწილები მაღლ კვდება, ნაჩვ-
ლეტში ვარედან წყალი შედის. დაზიანებული ადგილები
მოიხრება, აიბურთება. სიცოცხლის უნარს კარგავს, ველარ
აწედის ვაზს საზრდო ნივთიერებას და სრულიად ლპება
(იხ. სურ. № 3 ა-ბ). მცენარის სხვა ფესვებზეც სიდამპლე



նս. 3.



ნახ. 4.

მაღე გადადის. ჯერ წვრილი ფესვები ზიანდება და ლპება. შემდეგ მსხვილიც (იხ. სურ. № 4); და ამრიგად სულ მაღე მცენარეს დაუზიანებელი ფესვები აღარ დაურჩება.

ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ამგვარად ფილოქსერა იმპერია-
ჩილებს ვაზის ისეთ ჯიშებს, რომლებიც ნაყოფსაც კარგს
ისხამენ და მათი ყურძნის წვენიდან მაღალი ურთისების
ლვინო დგება; ასეთებია ევროპიული და ჩვენებული ჯიშები,

ა მ ე რ ი კ უ ლ ი ვ ა % 0

ამერიკული ვაზი დიდ წინააღმდეგობას უწევს ფილოქ-
სერას. თუმცა ფილოქსერა ამერიკულ ვაზსაც სჩევლეტს
თავის ხორთუმით, მაგრამ ისეთ ზიანს ვერ აყენებს მას,
როგორც ის ჩვენებურსა და ევროპიულ ვაზის ჯიშებს.
ვინაიდან ამერიკული ვაზის დაჩველეტილი აღგილები ფი-
ლოქსერისაგან არ კვლება, სისწავით მრთელდება, ხორ-
ცდება და ზევიდან მას პროპერისებური კანი ეკვრება. ეს
გარემოება კი ფესვების ლპობას ხელს უშლის. ის კიარა
ხშირად სწორედ ამ ნაკენ აღგილებზე ახალი ფესვები
გამოდის ხოლმე, რომელიც თუ არ აძლიერებს ვაზის სა-
ერთო მდგომარეობას, არ აუძლურებს მაინც, როგორც ეს
პირველ შემთხვევაში ჩვენებურსა და ევროპიულ ვაზის ჯი-
შებზე ხდება. მაშასადამე, ამერიკული ვაზი ფრიად კარ-
გია, როგორც ფილოქსერის წინააღმდეგ გამძლე. უბედუ-
რება ის არის, რომ ბევრი მათგანი სრულიად არ ისხამს
ნაყოფს. თუ მისი ყურძენი მეტად დაბალი ხარისხის და
არა სასიამოებო სუნისა და გემოს ლვინოს იძლევა, ამასთან
ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ის ამერიკული ჯიშები, რომ-
ლებიც ნაყოფს იძლევა ვერც ფილოქსერას ეწინააღმდე-

გება დიდხანს და მალე ხმება. აქედან ნათელია — ს, რომ
ჩეცნებური და ევროპიული ჯიშების მაგიკობას ამერიკული
ლი ვაზი ვერ გაგვიწევს, მხოლოდ როგორც საძღვაურმანება
ზედ ჩეცნებური ჯიშების დასამყნობად უდაოდ სასარგებ-
ლო და საჭიროა. მეცნიერ მევენახების კვლევა-ძიებამ და
ცდებმა ამერიკულ ვაზზე ჩეცნებურ და ევროპიულ ჯიშების
მყნობის საკითხის ირგვლივ დღემდე ბევრი გააკეთა,
თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ამ საკითხში ბევრი რამ
გამოუტკვეთილიც არის. ჯერჯერობით კი ნათელია შემ-
დეგი:

1) სხვადასხვა ჯიში ამერიკული ვაზისა ერთსა და იმა-
ვე ნიაღაგზე ერთნაირად არ ხარობს (ვაზის ასეთ თვი-
ებას, და საზოგადოდ მცენარისას, „აღაპტაცია“ ეწოდება)

2) ყველა ამერიკული ჯიში კარგად არ ახარებს ნამ-
ყენს, — ზოგს მკვიდრად შეეზრდება და შეეხორცება ნამ-
ყენი, ზოგს კი ცუდად. ამ თვისებას კავშირი აქვს საზო-
გადოთ მცენარის მონათესაობასთან. თუ ამერიკულ საძი-
რესა და დასამყნობ (სალვინე) ჯიშთა შორის ახლო მონა-
თესაობა არის, ნამყენიც კარგად და ადვილად ხარობს,
წინააღმდეგ შემთხვევაში-ცუდად.

3) ზოგი ამერიკული ვაზის საძირე ფილოქსერას დი-
დად ეწინააღმდეგება, ზოგი ნაკლებად და ზოგი კი ვერა-
ვითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს.

4) ზოგი ამერიკული ვაზის ჯიშის ლერწი კარგად და
მალე იკეთებს ფესვებს, ზოგი კი ცუდად.

მეცნიერული კვლევა-ძიება იქამდისაც მივიღა, რომ
ისიც გამოიკვლია, აქვს თუ არა რაიშე გავლენაზამყნილ
სალვინე ჯიშებს, ფილოქსერასთან ბრძოლის გამძლეობაზე? ა
გამოიკვლია, რომ ევროპიული ჯიში „არამონი“ და ამატები
საძირე „რიპარიაგრანდგლაბირზე“ ნახევრად უკარგავს ამ
საძირეს ფილოქსერასთან საბრძოლველ უნარს. ამავე სა-
ძირებზე დამყნილი სალვინე ჯიში „კლერტი“ და „კაბერ-
ნე“ კი მატებს ამ საძირეს ფილოქსერასთან საბრძოლ-
ველ უნარს. აქედან ნათლად ჩანს, რომ ნამყენი ვენახის
გაშენება არც ისე ადვილი საჭმე ყოფილა. თუ ზემოდ ჩა-
მოთვლილი პირობები ზუსტად არ იქნა დაცული, გაშე-
ნებულ ვენახზე გაწეული შრომა და ხარჯები ტაუილად
დაიკარგება და შესაფერ ნაყოფს ვერ მოიტანს. დიდი
სიცრთხილე და დაკვირვებაა საჭირო ვენახის გაშენების
დროს, თორემ დაშვებული შეცდომის გასწორება თით-
ქმის ყოვლად შეუძლებელი ხდება, რასაც დიდი ზარალი
მოვავება ხოლმე.

საძირე ვაზი სამგვარია: 1) წმინდა ამერიკული, 2) ამე-
რიკულ \times ამერიკული და 3) ფრანგულ \times ამერიკული.

წმინდა ამერიკული ისეთ ჯიშებს ეწოდება, რომლებიც
იპოვეს უვროპიელებმა ველურ მდგომარეობაში ამერიკის
სხვადასხვა ადგილებში, გადმოიტანეს ევროპაში და მოაშე-
ნეს. ეს არის: „რუპესტრისი“, „რიპარია“, „ბერ-
ლინ დიერი“, „ცინირეა“, „სოლონისი“ და სხვა.

ამერიკულ \times ამერიკული საძირე ჯიშები შექმნეს მეცნიერ
მევენახეებმა სხვადასხვა ნამდვილ ამერიკულ ჯიშების ხე-

ლოვნურ გადაჯვარედინებით, რომელსაც „გიბრიდოზაცია“
ეწოდება. თითქმის ყველგან სოფლის მშრომელ გლეხეუბასა
გაუკონია „გიბრიდი“, გიბრიდი არის ორიგინული მარეკა
სავე, მაგრამ სხვადასხვა ჯიშის შეუღლება. ხელოვნურად
მათი განაყოფიერებით წარმოიშობა ახალი ჯიში, რომელ-
საც ორივე წარმომშობ ჯიშის თვისებები ექნება, მაგრამ
ხშირად ნაყოფიერების და გამძლეობის თვისებები შე-
ეცვლება. ამგვარად მეტნიერ მევენახეებმა გადააჯვარე-
დინეს ნამდვილი ამერიკული ჯიშები „რუპესტრისი“ და
„რიპარია“ და მათი თესლიდან მიიღეს ახალი ჯიში
„რიპარია×რუპესტრისი“. შემდეგ შექმნეს ფრანგულ×ამე-
რიკული გიბრიდები, ე. ი. შეაულეს საღვინე ევრო-
პიული ჯიში ველურ ნამდვილ ამერიკულ ჯიშებთან, და
მიიღეს ფრანგულ-ამერიკული ჯიშები—გიბრიდები, მაგა-
ლითად: „შასლა×ბერლანდიერი“, „არამან×რუპესტრისი“
და სხვა. ზოგი ფრანგულ—ამერიკული ჯიშები შესამჩნევად
ისხამს ნაყოფს, და ერთ დროს „ფრანგულა“—ს სახელწო-
დებით დასავლეთ საქართველოში დიდ ხმარებაშიც იყო.
ახლაც ბევრი ცდები არის იმაზე ევროპაში. მას შემდეგ
სულ პირველად ჩვენში ამყნობდენ მხოლოდ ნამდვილ ამე-
რიკულ ჯიშებზე. უფრო დიდ მოწონებაში და გავრცე-
ლებული იყო „რუპესტრისი“ და „რიპარია“. მძი-
მე აყალო და მშრალ მიწებისათვის ხმარობდენ „რუპე-
სტრისს“. ფხვიერსა და სილნარ და ლრმა ნიადაგი-
სათვის კი „რიპარია“ს, რასაც კარგი შედეგები არ
მოყვა. შემდეგ გამოჩნდა ამერიკულ ამერიკულის და ფრან-

გულ ამერიკული გიბრიდების სხვადასხვა ნომრები-ჯიშები. ამ ჯიშებს ახლა უფარდებენ ამა თუ იმ თვისების/ნიადაგს და ამ ქამად უფრო ნათლად არის გამორეცეცული: თუ რომელ ნიადაგს რა საძირე უფრო ეგუება: გათხოვა კვეულია, რომ ამერიკული საძირე ვაზისათვის ყველაზე უფრო სახიფათო კირნარი ნიადაგია. ასეთ ნიადაგზე შეცდომით შეუფერებელ საძირეზე გაშენებულ ვაზს უჩნდება სენი „ვაზის სიყვითლე“ (ხლოროზი). ვაზს ფოთლები და აგრეთვე მტევნები ყოველ წლობით უყვითლდება, სუსტდება და ხმება. კირნარ ნიადაგს კარგად ეგუება და უთვისდება საძირე „ბერლანდიერი“ და მისი გიბრიდები. სამაგიეროდ და სამშუხაროდ ამ საძირეზე მყნობის დროს საღვინე ჯიში ცუდად უხორცდება — ეთვისება, ნამყენის ნაკლები პროცენტი ხარობს და ამას გარდა თვით საძირე სუსტსა და პატარა ფესვებს იკვეთებს.

ამას გარდა საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ბოლო ხანებში წმინდა ამერიკული ჯიშები განდევნილია ხმარებიდან. ალარც „რუპესტრისი“ და ალარც „რიპარია“ ხმარებაში არ არის; ხმარებაშია მხოლოდ რჩეული ჯიშები ამერიკულ ამერიკულის და ფრანგულ ამერიკულის გიბრიდებისა.

ამინისტრაციული ამინისტრაციი გიბრიდები.

1) რეპარია ~~რუპესტრის~~ 3309. ამ ორი ამერიკული ჯიშის გიბრიდს კარგი თვისებები იქვს. თითქმის ყოველგვარ ნიადაგს ეგუება, მხოლოდ ძალიან მაღლობსა და

გამოფიტულ ნიდაგს ვერ იტანს. სისცელეს და კიბელი ნიადაგს უფრო ეგუება ვიდრე სხვა ჯიშები. ნაყოფის მო სხმა ზომიერი აქვს და კარგადაც ამწიფებს. პირველ წლებში ყვავილის ცვენა იცის, მაგრამ ეს ვაზის გასხვლით შეიძლება შევასწოროთ. ფილოქსერას ძალიან კარგად ეწინააღმდეგება. ეს ჯიში ამეამად მევენახეობის ყველა რაიონებშიც გავრცელებული.

2) რიპარია \times რუპესტრის 3306. ეს გიბრიდია ამ ორი ამერიკული ჯიშის. ფილოქსერის არ ეშინია. ნამყენს შედარებით ნაკლებ პროცენტს ახარებს. უყვარს ლრმად ნასილავი ფხვიერი ნიადაგი და იტანს მძიმე ნიადაგსაც, თუ ნიადაგი ფხვიერი და საკმაოდ სველია, კირნარ ნიადაგსაც კარგად იტანს. ზრდა და ნაყოფის მოსხმა ზომიერი აქვს.

3) რიპარია \times რუპესტრის 101 — 14. რიპარიას უფრო წააგავს ვიდრე რუპესტრის. ფილოქსერის კარგად ეწინააღმდეგება. ძალიან მწირ ნიადაგს ვერ ეგუება. ლრმა და ფხვიერ ნიადაგშე კარგად ხარობს. კირნარ ნიადაგის ეშინია. (არ ვარგა, თუ ნიადაგში $15-20\%$ მეტი კირია). მოსხმა ყოველწლიურად თანაბარი და კარგი იცის. უკანასკნელ გამოცდების მიხედვით, კარგად დაფესვიანებულ ძირს, გვალვა ვეღარას აკლებს.

4) ბერლანდიერი \times რიპარია 420a: ნამყენს ნაკლებად ახარებს, ვიდრე ზემოდ ჩამოთვლილი ჯიშები. ზეირობს კირნარ ნიადაგზეც. კარგად ეგუება მშრალ ნიადაგს. ფესვებს ნიადაგში ლრმად უშვებს. პირველ წლებში ზრდა სუსტი აქვს, რის გამო ხშირად სასუქს მოითხოვს ხოლმე. ასეთივე ლირსებისაა ბერლანდიერი რიპარია 420b.



1) შახლა \times ბერლანდიერი 41 პ კარგი საძირული უნიტერი, მონათესაობა აქვს თითქმის ყველა ევროპიულ ჯიშებთან. უძლებს კირნარევ ნიადაგს, თუ გინდ 40%, ზე მეტი კირიც იყოს. ნაყოფს შესანიშნავად ამწიფებს და კარგი ღირსების ღვინოსაც იძლევა. მოსხმა და ზრდა ზომიერი იცის. ნამყენს ნიკლებად ახარებს. ფესვები ცოტათი სუსტი აქვს.

2) არამან \times რუპესტრის განზენ № 1. შესანიშნავი საძირეა, თიხნარ ნიადაგისათვის, ფილოქსერის კარგად ეწინააღმდეგება. ნამყენს კარგად ახარებს. ძლიერი ზრდა აქვს. მოსხმა კარგი იცის, თუმცა ნაყოფის დამწიფებას ცოტათი აგვიანებს.

3) მურვედრ \times რუპესტრის 1202. დიდი მონათესავეა ჩვენებური ჯიშების და კარგად იგუებს მათ. ერთად ერთი ჯიშია, რომელიც თითქმის ყოველგვარ ნიადაგზე ხარობს. ყველაზე უფრო კარგად ახარებს ნამყენს და საღვინე ჯიშს კარგად და მტკიცედ ეხორცება. ნაყოფს კარგად ამწიფებს და ღვინოც კარგი გამოდის. მოსხმა კარგი იცის. ფილოქსერის შედარებით ნაკლებად ეწინააღმდეგება, ვიდრე ზევით ჩამოთვლილი ჯიშები.

ზემოდ მოხსენებულის გამო უნდა აღვნიშნოთ, რომ უველა სავენიხე რაიონის ნიადაგის, ჰავისა და ადგილობრივ პირობების გამო აქვს თავისი საიდუმლოებანი, ამის გამო ახალ ვენახის გამშენებელმა უნდა იხელმძღვანელოს

და დაეყრდნოს არა მაინც ცდამაინც ზემომოხსენებულ
საერთო დებულებებს, არამედ ყოველ ცალკე შემთხვევაში
მან უნდა იხელმძღვანელოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს,
კვლევა-ძიებით, ე. ი. მიმართოს რჩევისათვის ადგილობ-
რივ მეცნახე აგრონომს და სათანადო საცდელ სადგუ-
რებს.

თავი II

რა არის მანობა და რა პირობებია მისთვის საჭირო?

მყნობა მცენარის ხელოვნურად გამრავლების და გაუ-
მჯობესების საშუალებაა. ერთი მცენარის ნაწილს, მაგ.
კვირტს ან ტოტს გადავიტანთ მეორე მცენარეზე-საძირზე,
ან მის ნაწილზე ტოტზე. როგორც პირველის, ისე მეორის
ჭრილობებს შევაერთებთ მჟიდროდ და შევახვევთ. რამოდე-
ნიმე ხნის განმავლობაში ეს შეერთებული ნაწილები იკი-
თებს კორძებს. ეს კორძები იმით არის გამოწვეული, რომ
აქ ჩნდება ახალი უჯრედები, რომლებიც ერთიმეორეს
კარგად უერთდება.

ნაყოფიერ მყნობისათვის საჭიროა შემდეგი პირო-
ბები: ორივე მცენარე, როგორც საძირე, ისე დასამყნობი,
კვირტი იქნება ის, თუ ტოტი, ერთი და იმავე ჯურის-
ერთი მეორეს მონათესავე უნდა იყოს. საჭიროა თვით
მყნობის პროცესს მიეჭირ ჯეროვანი ყურადღება. ნამყენის




ნახ. 5.

ჭრილობები შეიძლოდ და მკვიდრად უნდა იყოს ერთი მეორეზე მიდებული. ოოგორკი ზევით გაკერით ესთქვით, ეს ადგილები სულ მაღლე, თუ რასაკვირველია, შესაფერ პირობებში იმყოფება, იქეთებს კორძებს (იხ. სურ. № 5.).) აბურთულ, აკორძებულ ადგილზე ახალი უჯრედებია გაჩენილი და ამ ახალ უჯრედების საშუალებით ნამყენის ორთავე ჭრილობა ერთი მეორეს შეუერთდება, შეუხორცდება. რაც უფრო მაღლე უჩნდება ეს კორძები ნამყენს, მით უფრო კარგია. ამის გაჩენას კი ხელს უწყობს სითბო და ნიადაგის შესაფერი სინესტე. ეს უკანასკნელი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან უამისოდ საძირე გამოშრება და წვენის საზრდო ნიეთიერების მოძრაობა, რომელიც თანაც ხელს უწყობს ახალი უჯრედების გაჩენას, შეჩერდება. კარგია, როდესაც ნიადაგის სისველე $5-8^{\circ}/\text{o}$ -დე არის, სითბო კი 25° -დე და მეტიც. ნიადაგის ზედმეტი სისველე და ნაკლები სითბო კარგად და დროშე შეხორცებას ხელს უშლის და ამგვარ პი-

რობებში ნამყენიც ობს იქიდებს და ლპება. ამისათვის
ფხვიერი, სილანარევი ნიადაგი, რომელიც ზედმეტს სი-
სველეს არ იქავებს და თან ადვილადაც და მაჟამარისტურა
ნამყენის გასახარებლად ძალიან კარგ ნიადაგად უნდა
ჩაითვალოს.

საზოგადოდ, როგორც მებალეობაში, ისე მევენახეო-
ბაში ბევრი სხვადასხვაგვარი მყნობა არსებობს. ყველა მათი
ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ჩვენ მიერ დასახულ მიზანს
კი არც სჭირდება. ამიტომ ვანევინილოთ მხოლოდ ორი
მათგანი, რომელსაც მევენახეობაში ხმარობენ ხოლმე. ეს
არის უბრალო ნახლეჩიში მყნობა და ინგლისური მყნობა.
პირველ შემთხვევაში, ე. ი. ნახლეჩიში ამყნობენ უკვე და-
ფესვიანებულ რამოდენიმე წლის საძირეზე, იმავე წესით,
როგორც ჩვენში ვაშლს, მსხალს, ბალს და სხვა ხეხილს
ამყნობენ ხოლმე (იხ. სურ. № 6). ნახლეჩიში ამყნობენ
აგრეთვე მაშინ, როდესაც ერთი რომელიმე ჯიშის შეცვლა
უნდათ მეორეთი. მაგალითად, რომელიმე კუთხეში არ
ივარგა ჯიშმა რქაწითელმა და გვინდა შეცვეალოთ ჯიში
საფერავით, ან, მაგალითად, ცოლიკოურით, ნამყენ აღგილს
ზევით ვჭრით რქაწითელს და საძირეს ვხლეჩავთ შუაზე
ან ნახევრად ნახლეჩიში ვამყნობთ საჭირო ჯიშს, საფე-
რავს თუ ცოლიკოურს.


ინგლისური წესით (ამ წესს კოპულიროვეას უწოდე-
ბენ) მყნობა კი სხვაგვარია. აქ როგორც საძირე, ე. ი. ის,
რაზედაც ვამყნით და ისიც, რასაც ზევიდან ვამყნით სა-
ლვინე ვაზები, ერთი სისხოს უნდა იყოს (იხ. სურ. № 7 და 8).




ნაჩ. 6.

გარდა ზემოჩამოთვლილისა მყნობისათვის კიდევ სხვა რამეც არის საჭირო. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ განვიზრახეთ გავაკეთოთ ვაზის ნამყენების სანერგე. ამისათვის თავის ღრობები უნდა შევუდგეთ წინასწარ მუშაობას. მთავარი ყურადღება სანერგეში მას უნდა მივაქციოთ, რომ მივიღოთ კარგად შეხორცებული და სალი ნამყენები. როდესაც სანერგეს მხოლოდ ის მიზანი აქვს, რომ გვინდა ნამყენი ვაზის ხალხში გავრცელება, მაშინ ჩვენ წინდაწინვე უნდა გვქონდეს შედგენილი მუშაობის გეგმა. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს, რამდენი ნამყენის გაყიდ-

ვის საშუალება გვაქვს, რა და /რა
ჯიშებს აქვს იმ კუთხეებით რომ
მეტი მოთხოვნილება და ასე დასჭირდეთ
საძირე ვაზია საჭირო ამათუის
რაიონისთვის. ერთი სიტყვით,
ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს
აწონილ-დაწონილი, რომ მყიდვე-
ლი შეცდომაში არ შევიყვანოთ და



ნახ. 7.



ნახ. 8.



კუთხეზე და აგრეთვე წელიწადზე. ზოგი წელიწადი თბილია, გაზაფხული ადრე დგება და ბუნებაც ადრე იცვის, მაშასადამე, მყნობის დროც ადრე იწყება. კუთხით დოდ, დასავლეთ საქართველოში ბუნება 15 — 20 დღით უფრო ადრე იცვის, ვიდრე აღმოსავლეთში. გარდა ამისა სანერგესათვის ამორჩეულ ნიადაგის თვისებასაც აქვს მნიშვნელობა. თუ ნიადაგი შშრალია (სილა-ნარევი) და აღვილად თბება, იქ შეიძლება კაცმა უფრო ადრე დარგოს ნამყენი, ვიდრე, შედარებით, უფრო სველსა და ცივ ნიადაგში, რადგან ამ უკანასკნელში, სანამ ნამყენი ერთი მეორეს სავსებით შეეხორცებოდეს და საძირე ახალ ფესვებს გამოიღებდეს, ნიადაგის სისველე ალპობს მას.

ამ რიგად, როდესაც მყნობის დრო შერჩეულია, ვიწყებთ წინასწარ მუშაობას-ლერწების დამზადებას. ვიღებთ მათ სილიდან და ვრეცხავთ, ან ჩვრით ვაცლით სილას, რადგანაც სილიანი და დასვრილი ლერწები მყნობის დროს ძალიან უშლის ხელს მუშას. დაწმენდილი ამერიკული საძირე ლერწები იჭრება მაკრატლით ოთხიდან — 10 გოჯის სიგრძემდე (იხ. სურ. № 9). საძირის სიგრძე დამოკიდებულია იმაზე, თუ რაგვარ ნიადაგისათვის არის დანიშნული ჩვენი ნამყენი. საზოგადოდ, უნდა ვიცოდეთ ერთი გარემოება. რამდენადაც ნიადაგი შშრალია და კუთხე, სადაც ვაზია გაშენებული, თბილი, მით უფრო გრძელი საძირეა საჭირო და, პირიქით, ნესტიან ნიადაგისათვის — მოკლე. საძირეს ვაცლით საერთოდ ყველა კვირტს და ქვეითა ნაწილს ძირისკენ ვჭრით კვირტის

ახლოს. (იბ. სურ. № 5 a). ეს იმიტომ, როგორც საზოგადოდ ყველა მცუნარი ჰქონდება კვირტთან აქვს შეგროვებული მატერიალი საზრდო ნივთიერება. იქ არის, ასე ესთქვათ, საზრდო ნივთიერებათა სათადარივო საწყობი და ამიტომაც, რაც უფრო ახლოს არის ამ სათადარივო საწყობთან ლერწი გადაჭრილი, მით უკეთესია, რადგან ის ხელს შეუწყობს ფესვების აღრე გაჩენას და გაზრდასაც. ამავე ღროვს შევუდგებით დასამყნობ ლერწების გამზადებას, რისთვისაც ასე უნდა მოვიქცეთ: გაწმენდილი ლერწი იქრება იმდენ ნაწილად, რამდენიც მასზე კარგი კვირტია. არ ვარგა ლერწის წვერების კვირტები. კვირტებს ისეთ ზომაზე ვსჭრით, რომ მას ზევით დარჩეს $1\frac{1}{2} - 3\frac{1}{4}$ გოჯი ლერწისა (იბ. სურ. № 10). ასეთ კვირტებს ადვილად დაიკავებს მოიძარჯვებს მყნობელი მუშა ხელში. და ნამყენიც შემდეგში მალე არ ვამოშრება. მუშაობის გასაადვილებლად ყოველთვის



ნახ. 9.



ნახ. 10.

უნდა ვცდილობდეთ მუშებს შორის სამუშაო ისე გაჭერა-
 წილოთ, რომ მათი მუშაობა, რაც შეიძლება, ნაყოფიერ
 იყოს. მაგალითად: ერთი მუშა მაკრატლით მხოლოდ უადგინდე-
 ზომაზე დასჭრის ამერიკულ ვაზს, მეორე კი მუსტარის და-
 ნით აცლის კვირტებს, მაკრატლით კვირტთან ახლოს გა-
 დაჭრილ ლერწს თავს წაუსწორებს და კონებად აწყობს.
 მესამე ამზადებს დასამყნობ კვირტებს, მეოთხე — უმთავ-
 რესი სპეციალისტი. მუშა, რომელიც ამ საქმეში უკვე გა-
 მოწაფელია, ამყნობს და დამყნილ ვაზს იქვე აწყობს, მე-
 ხუთე კი (ქალი ან ბავშვი) ნაშენს ახვევს. ამგვარად მოწ-
 ყობილ და განაწილებულ მუშაობას მუდამ მეტი ნაყო-
 ფიერება აქვს, რადგან თვითოული მუშა ერთგვარ მუშაო-
 ბაზე უფრო ადვილად და მაღლე იწაუება და ხელს აჩვევს
 მას.


მუშაობა და სახერგე

გამზადებული კვირტები და საძირე ამერიკული ლერ-
 წები დაწყობილია მაგიდაზე, რომელსაც უზის მყნობელი
 მუშა სამყნობი დანით ხელში. საუკეთესო დანა ამ საქმის-
 თვის „კუნდე-ს სამყნობი დანა ითვლება. (იხ. სურ. № 11).
 დანა ძალიან მჭრელი უნდა იყოს. ერთი გვერდით მყნო-
 ბელ მუშას უწყვია სამყნობად დამზადებული ამერიკული
 ლერწები, მეორით — კვირტები. მუშა იღებს ლერწს მარ-
 ცხენა ხელში და სამი თითით ან ისე, როგორც ნაჩვენებია
 სურ. № 12 — ბ-ზე, მაგრა დაიჭერს. მარჯვენა ხელით,

როგორც ვსთქვით, კარგად ილესილი დანით როგორც
სურის ლერწის ერთი მოსმით (იხ. სურ. № 7). ირტერენციალური
სისტემის გარეშე



ნახ. 11.



ნახ. 12.

მონათალის სიგრძე $2 - 2\frac{1}{2}$ მეტი არ უნდა იყოს, ვიდრე
ლერწის სისხოა. საძირეს და სამყნობ ლერწებს ერთი მოს-
მით უნდა მოჭრა და შემდეგ არაოდეს არ უნდა შეაკეთოს

მუშამ დანის მეორე და მესამეჯერ მოს-
მით, რადგან მონათალი უსათუოდ და-
პკარგავს სისწორეს, რაც ნამყენის შე-
ზრდას ხელს შეუშლის. ორივე მონათა-
ლი ცოტაოდნად შიგნით ჩაზნექილი უნ-
და იყოს, რაც ხელს უწყობს ორივე ნა-
წილის ერთი მეორეზე კარგად დაყრდ-
ნობას და ჩასმას. როგორც კვირტიანი
ლერწი, ისე ამერიკული ვაზი უსათუოდ
ერთი სისხლის უნდა იყოს და მონათა-
ლიც — ერთ სიგრძისა (იხ. სურ. № 7).
კვირტის ამერიკულ ვაზზე მჭიდროდ და-
საყრდნობად ერთი მეორეზე მიღებული
მონათალი ადგილები, რომ ერთმანეთს
ადვილად არ. მოშორდეს, საჭიროა გულს
ზევით ჩათი ჩაჭრა და ენების გაკეთება
(იხ. სურ. № 13); ენით კვირტიან ვაზს
ჩამოვაცმევთ საძირეზე და ნამყენის
ორივე ნაწილს ერთიმეორეში მჭიდ-
როდ ჩავსვამთ. ამრიგად გაკეთებულ
ნამყენის ორივე ნაწილი ისე კარგად
უნდა ეკვრებოდეს ერთი მეორეს, რომ
შიგ სინათლე არ უნდა გადიოდეს. ნამ-
ყენი შესახვევად გადაეცემა უფრო უბრა-
ლო მუშებს — ქალებს ან მოზრდილ ბავ-
შებს. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შეხვევა

ნაჩ. 13.


3. ვაზის მყნობა.

სრულიად უბრალო საქმე იყოს, პირიქით, კარგზე
კეთებულ ნამყენს უხეირო შემხვევი სრულიად გააფუჭებს.

ბევრ სხვადასხვა მასალას ჩმარობენ ნამყენის შემთხვევაში
ხვევად, მაგრამ ყველაზე უფრო კარგია ერთხაირი
ჭილის გვარი მასალა, ოომელსაც „რაფია“ს უწოდე-
ბენ. რაფია მაღაგასკარის* პალმის ხის კანია. რაფია მაგრა
ეხვევა ნამყენს და კარგადაც ინახავს მას სანერგეში. რა-
ფიას ასე შემოახვევენ ნამყენს: მხეველი მუშა მიატეხნა ხე-
ლით დაიკერს ნაძყენს, ხოლო მარჯვენათი იმ ადგილას, სა-
დაც ნამყენის ორივე მონათალი ადგილი იწყება, ერთიმეო-
რესთან ახლოს რაფიას ორჯერ მაგრა შემოახვევს. შემდეგ
რაფია ერთიმეორებზე ცოტათი დაშორებული იქნება და
ბოლოს კი, სადაც ნამყენის ჭრილობა თავდება, იქაც
ორჯერ ან სამჯერ მაგრად დაახვევს და მარყუჭად გა-
მოსკვნის. შეხვეულ ნამყენებს კონებად ჰქონდენ (25—30 ცა-
ლი თითო კონაში) და აწყობენ ოდნავ ნესტიან სილაში.
სათბურებში გამოსაყვან ნამყენებს შეხვევა ასე უნდა:
ნამყენს ცერად უნდა დაწყობა, რადგან აშვეარად დაწ-
ყობილ ნამყენში წვენი ადგილად იწყებს მოძრაობას, რაც
ძალიან უწყობს ხელს ნამყენის შეხორცებას და შეზრდას.
ნამყენებს ყოველი შერიდან სილა უნდა ჰქონდეს შემო-
ყრილი. ნამყენებს სილაში სარდაფებში ინახავენ, სადაც
ჰაერი წმინდა უნდა იყოს. ჯერ სწორად დაყრიან 3—4 გო-
ჯის სიმაღლეზე სილას, შემდეგ დააწყობენ ნამყენებს
ალმაცერად, როგორც ნაჩევნებია სურ. № 14.-ზე** და შემ-
დეგ სილითვე ამოავსებენ კონებსა და ნამყენებს შუა ცა-
რიელ ადგილებს. ამრიგად დაწყობილ ნამყენს თავზე

*) მაღაგასკარი კუნძულია აფრიკაში.

**) ანბანი ა — ნაჩევნებია სილა, ბ — შეკონილი ცერად დაწყო-
ბილი ნამყენები, გ — იატაკი სარდაფში.



図版 14.

დააყრიან 3-4 გოჯ სილას და ზევით შემდეგ რაგ ნამყენს დააწყობენ. ზევიდან კი 4-5 გოჯა სილას დააყრიან. ძალიან სველი სილა ნამყენს დააობებს და დაამუშავებს, ფიფიისაც უდროოდ შემოალპობს და ხელს შეუშლის ნამყენის შეხორცებას. ძალიან შშრალი სილა-კი, პირიქით, ნამყენიდან იზიდავს სისველეს, რითაც აშრობს მას. საზოგადოდ, სილას 5-7%, სისველე უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა სხვილი და ხოროში სილა უფრო კარგად ინახავს ნამყენს, ვიდრე წმინდა. ნამყენები ოდნავ თბილ სარდაფში უნდა შევინახოთ, რადგან სიცივე მათ სწყენს და ალპობს. სილაში ასე დაწყობილი ნამყენები სარდაფში რჩება რამოდენიმე ხანს (15 — 20 დღემდე). სარდაფის უქონლობის გამო შეიძლება ვიხმაროთ სხვა რამე შენობებიც, მხოლოდ შენობაში ძალიან არ უნდა გამოშრეს სილა. წინააღმდეგ შემთხვევაში სილა ნამყენებს გამოაშრობს და გააბმობს. თუ სილა ძალიან გამოშრა, მაშინ მას თავზე ცოტაოდენ წყალს მოვასხამთ ამგვარად დაწყობილი ნამყენების გაჩერება ძალიან დიდ ხანს არ შეიძლება.

სანერგესათვის ადგილის ამორჩევა და დაზუშავება. ვაზი ფესვებს კარგად იკეთებს ფხვიერსა და ნასილავ ნიადაგში. ფესვების განვითარებისათვის საჭიროა ჰაერს საჭმაოდ ჰქონდეს გავლენა იმ ადგილზე, საიდანაც ეს ფესვები უნდა გამოვიდეს. თუ ნიადაგი დაუმუშავებელია და ჰაერს არ შეუძლია იქონიოს მის სიღრმეზე გავლენა, ფესვები არ იზრდება და ნამყენს ფესვების მაგივრად სიღამბლე უჩნდება. ამიტომაც არის, რომ ვაზის სანერგესათვის ადგილს ძალიან გულდასმით ვარჩევთ და ნიადაგსაც კარგად და-

ვამუშავებთ. სანერგესათვის არ ვარგა თიხნარი და ძალაში
მძიმე, მაგარი მიწა. მიწას გადაბრუნება — გადაბროვე
უნდა 12 გოჯის სილრმეზე. გადაბარვის დროს მაწილებელი არა
ერდება და მისი მაგარი ნაწილები ჰაერისა და წვიმის
ზეგავლენით იშლება. სანერგესათვის სჯობია სწორი ად-
გილი იყოს. მზე მას დილიდან საღამომდე უნდა დაპყუ-
რებდეს. მიწას გადაბრუნება შემოღვომაზე უნდა და არა
გაზაფხულზე, როგორც ამას ზოგვან შერებიან. გაზაფხულ-
ზე გადაბრუნებული მიწა სანერგისათვის არაოდეს არ
გამოდგება და აი რატომ: მიწის გადაბრუნებით, ლრმად
გადაბარვით, ჩვენ გვინდა გავაფხვიეროთ ნიადაგი 12 გო-
ჯის სილრმეზე. ეს სილრმე ნამუენს აუკილებლად სკირ-
დება. 12 გოჯის სილრმეზე ჩვენში არაოდეს არ არის
ნიადაგი ერთგვარი. ნიადაგის ზედა პირი 6 — 8 გოჯამდე
ნოყიერია, ამას ქვევით კი ის მაგარია, დაუმუშავებელი
და ამასთან ნოყიერების მოკლებული. მასში მყოფი ნივთიე-
რებანი, ასე ვსოდვათ, შეკრულია და წარმოადგენენ უფრო
რთულ ნივთიერებას, ვიდრე ნიადაგის ზედა ნაწილში —
პირზე. ზევით კი ეს ნივთიერებანი წარმოადგენენ მარ-
ტივს, უბრალო ელემენტებად დანაწილებულ ნივთიერებას.
ეს იმიტომ, რომ ნიადაგის ქვეითა ნაწილზე ჰაერი და
წვიმა იმდენად ვერ მოქმედობს, როგორც ზედა პირზე.
ჰაერის და წვიმის ზეგავლენით ნიადაგში მყოფი რთული
ნივთიერება იშლება, მარტივდება. მცენარე კი თავის
ფესვებით სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი მარ-
ტივი ნივთიერებით. ნიადაგის გადაბრუნების დროს მისი

ქევითა ნაწილი ზევით ექცევა და ზევითა კი ქვეით. ზამთრის
წვიმისა და თოვლის და აგრეთვე პატივის ზეგავლენით ზევით
მოქცეული ნიადაგი ფხვიერდება, რბილდება და მოქცეული
მყოფი რთული ნივთიერებანი უანგმბადის წყალობით იქან-
გება, იშლება. ამას გარდა ახლად გადაბრუნებული მიწა
ყოველთვის ფხვიერია, ცოტა ხანს შემდეგ წვიმისა და
დროთა ვითარების გამო მიწა დავარდება, დაიწევს და,
როდესაც ის თავის კალაპოტში ჩადგება, შიგ ჩარგული
ნამყენი თავამყოფილი დარჩება. ეს გარემოება კი, ეპვს
გარეშეა, მის წესიერად გახარებას შეაფერხებს. შემოდ-
გომაზე გადაბრუნებული მიწა ზამთრის განმავლობაში
უკვე მოასწრებს თავის დონეზე დაღვომას და ნამყენის
დარგვის შემდეგ მეტს აღარ დაიწევს, არ დავარდება.
ყველა ზემო მოყვანილ მოსაზრების გამო უსათუოდ სა-
ჭიროა, რომ მიწა შემოდგომაზე დამუშავდეს. მიწის გა-
დაბრუნება ჩვენში თითქმის ყველამ იცის. მოკლედ კი
ეს ასე შეიძლება განვმარტოთ. უკვე ამორჩეული იდგილის
გადაბრუნებას რომელიმე ერთი მხრიდან ვიწყებთ. პირვე-
ლად უნდა გავიყვანოთ ორი პარალელური ხაზი, ერთი
მეორისაგან $1\frac{1}{4}$ — $1\frac{1}{2}$ არშინზე დაშორებული. ამ ხაზებს
შუა გავიყვანთ 12 გოჯის სიღრმე თხრილს. მიწას ვყრით
იმ მხარეზე, სადაც სანერგეს საზღვარია. შემდეგ ხელახლა
გაიზომება $1\frac{1}{4}$ — $1\frac{1}{2}$ არშინის სიფართე მანძილი. გავი-
ყვანთ მეორე 12 გოჯის სიღრმე თხრილს და აქედან ამო-
ყრილ მიწას პირველ თხრილში ისე ჩავყრით, რომ ნია-
დაგის ზევითა პირი თხრილში ქვეშ მოექცეს, ქვივითა

კი ზევით. მეორე თხრილის მიწა, რასაკეირველია, სოფ-
ლიად საქმარისია პირველი თხრილის ამოსავსებაფრთული
გან სიფართე და სილრმე ორივე შემთხვევაში ურთისესობა
იგივე გვერდი აღებული. რადგან გადაბარების დროს მიწა
ფხვიერდება, მეორე თხრილში ჩაყრილი მიწა უფრო მაღ-
ლა დადგება, ვიდრე ნიაღაგის პირი იყო გადაბრუნებამდე.
შემდეგ გავიყვანთ მესამე თხრილს, მეოთხეს... და ამგვარად
დავამუშავებთ სანერგეს მთელ ადგილს. უკანასკნელ თხრილს
ავასესებთ პირველი თხრილიდან ამონაყარი მიწით, რასაც
ხელით უნდა გადატანა. მიწის გადაბრუნების დროს ამოვ-
ძრეფთ მცენარეების ძირებს, კორძებს და ქვებს. სანერგეს
გარშემო შემოვავლებთ ლრმა ერთ არშინიან თავლია
თხრილებს და რომელიმე მხრით მივსცემთ დასაწრეტ მილს
ან თხრილს. მათი საშუალებით ნიაღაგი კარგად დაიწრი-
ტება და საქმაოდ გამომრება. შემოდგომაზე დამუშავე-
ბული ადგილი გაზაფხულამდე რჩება. გაზაფხულზე მას
თოხით გავთოხნით, თუ მიწის დიდი ბელტებია დარჩე-
ნილი, დავაფხვიერებთ და შემდეგ ფოცხით მიწას გავას-
წორებთ. შესაძლებელია მას ერთი ბარის პირზე გადაბარ-
ვაც კი დასჭირდეს, რის შემდეგაც გავთოხნით და ფოც-
ხით გავასწორებთ.

ნამყენის დარგვა. როგორც ზემოთ ვსთქვით ნამყენის
დარგვა სანერგეში მარტის შუა რიცხვიდან აპრილის დამ-
ლევამდე შეიძლება. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამ-
დენად თბილი და ნაადრევია გაზაფხული, რამდენად
თბილია საზოგადოდ ის კუთხე, სადაც ჩვენ მუშაობა გვი-

ხდება და აგრეთვე როგორ ნიადაგთანა გვაძეს საკუთრებული. რამდენად შშრალი და ფხვიერია მიწა, იმდენად ადრესად და ადრეც თბება ის. ასეთ იდგილებში აპრილის მათ შემდეგ მაისის სიცხვები ნიადაგს ადრე გამოაშრობს და ნამყენ-საც იდგილად გაახმობს. პირიქით, ძალზე სველი და ნოტიო ნიადაგი იდგილად არ თბება და ადრე დარგული ნამყენი, სანამ ფესვებს გაიკეთებდეს და ერთი მეორეს შეეზრდებოდეს, დაგვილპება. მაშასადამე, ნამყენი უფრო გვიან ირგვება, როდესაც გაზაფხული დაგვიანებულია, ე. ი. ცივი და წვიმიანია, ან ნიადაგი სველი და ცივია. ამრიგად, როცა მივიღებთ მხედველობაში ყველა ამ გა-რემოებას, ამინდს დროს შევურჩევთ და შევუდგებით ნამ-ყენის სანერგეში გადატანას და მის დარგეას, გაგვყავს სანერგეში სწორი ხაზები, $1 - 1\frac{1}{4}$ არშინით ერთი მეო-რისაგან დაშორებული. ხაზები გაგვყავს აღმოსავლეთი-დან დასავლეთისაკენ. ვიღებთ ფრთხილად ნამყენს სილი-დან, გაწყობთ კალათებში და გადახურული მიგვაქვს სანერგეში. ნამყენს ვასობთ მიწაში 2 ან 3 გოჯით დაცილებით ერთი მეორისაგან. ნამყენის ჩისარგავად არსებობს ერთგვარი ორქაპი რეინის სარგავი, ამ სარგა-ვის კბილებში ვათავსებთ ნამყენის ქვედა ნაწილს და ვა-სობთ მიწაში. ამ ორქაპი რეინის სარგავის გაკეთება ყველა სოფლის მცედელს შეუძლია. ნამყენებს რგავენ აგ-რეთვე წინდაწინვე ამისათვის გაყვანილ თხრილებში. კარგსა და ფხვიერ ნიადაგში თხრილების გაყვანა ზედ-მეტი ხარჯია, რაღაც აქ ზემონახსენები ხელსაწყოთი

ნამყენის დარგვა ძალიან ადვილია. გადატან გადმოწერა
ნის და იგრუთვე დარგვის დროს ნამყენებს ძალიანი
სიფრთხილით უნდა მოვეცყროთ, რადგან, თუ დღიურობა
ადგილი ოდნავ შეინძრა, ახლად შეხორცებული ადგილი
ერთი მეორეს დაშორდება და ნამყენი გაფუჭდება. დამყ-
ნილი ადგილი მიწის პირზე ცოტათი უნდა ავაკილოთ.
წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ნამყენი მიწაში
ჩალპეს. ლრმად დარგული ნამყენი ფესვებს ცუდად იკე-
თებს და ამასთან ზაფხულში ძნელი მოსავლელიც არის.
რა წამს ერთი მუშა ნამყენს დარგავს, მეორე, რომელიც
თოხით ხელში მოჰკვება მას უკან, ნამყენს თავზე აყრის
მიწას. მიწა ნამყენს 3 გოჯის სიმალლეზე ეყრება თავზე.
ეს მიწა ძალიან ფხვიერი უნდა იყოს და თანაც ცოტა-
თი ნამიანი. ამგვარად ნამყენის თავზე კეთდება მიწის
გრძელი თავწოწოლა ბეგოები. თოხიან მუშას უკან
მოსდევს შემდეგი მუშა და ხელით ასწორებს ამ ბეგოებს
და ფრთხილად ისე შემოატკეპნის ნამყენს თავზე მიწას,
რომ ის კარგად და თანატოლად პფარავდეს მას ყოველი
მხრიდან.

სანერგეში მუშაობა ზაფხულის განმავლობაში.
სანამ ნამყენი ყლორტებს ამოიყრიდეს და ფესვებს გაი-
კეთებდეს, კარგა ხანი გაივლის. მანამდე სანერგეში ბევრი
ბალახი გაჩნდება, რომელიც, თუ დროზე არ გავთოხნეთ
და სანერგეს არ მოვაშორეთ, ნამყენს დაჩრდილავს და
წახდენს. მაშასადამე, ნამყენის დარგვის შემდეგ პირვე-
ლად მოელი სანერგე ბალახებიდან უნდა გაიწმინდოს.

თუ ხანგრძლივი გვალვა დაღგა, მაშინ მიწის ზედა პიროვნება, მეტადრე ის ბეგოები, რომელნიც ნამყენებს ჰქონება და მიმდევად გამოხმება; ამისათვის გვალვიან წლებში და მშრალი აღჭურა ლებში, დროგამოშვებით სანერვე უნდა მოირწყოს. მორწყვა მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როდესაც მიწის ზედა პირი ძალიან გამოშრება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალზე გამომშრალი და გაცხელებული მიწა გაახმობს ნამყენის ახლად შეხორცებულ აღგილებს. სანერვე უნდა მორწყვა მხოლოდ ზომიერი, ხანგრძლივი სინესტეცენებას მოუტანს.

გახარებული და შეხორცებული ნამყენი ყლორტებს გამოიღებს, რაც დახლოვებით მაისის დამლევს მიწიდან თავს ამოპყოფს. გამოიღებს თუ არა ეს ახალი ყლორტები ორ-სამ ფოთოლს, მათ მაშინვე ბორდოს სითხით უნდა წამლობა.¹⁾ (ბორდოს სითხეს 1-2%, ვერარობთ.) ამგვარი წამლობა მიწიდან ახლად ამოყრილ ყლორტებს თითქმის ყოველ 10 დღეში დასჭირდება. არამცდაარამც არ უნდა ვუცალოთ რაიმე სენის გაჩენას. საზოგადოდ—უნდა ვიცოდეთ, რომ წამალი მხოლოდ სენის გაჩენას აფერხებს მცნარეზე, ხოლო, თუ რომელიმე სენმა ფოთოლი ან ვაზის ახალი ყლორტი უკვე დააზიანა, შემდეგ წამალი მცნარის დაზიანებულ და დაავადებულ ნაწილებს ვერ გამოაბრუნებს: როდესაც ნამყენის ამონაყარი ყლორტი 4-5 გოჯის სიგ-

¹⁾ გარდა ბორდოს სითხისა ყოველ 15 დღეში ნამყენების ახალი ყლორტები გოგირდით უნდა მოიწამლოს.

რძე გაიზრდება, ნამყენის თავზე შემოყრილი მიწის ფე-
გოებს ვაცლით და კარგად ვსინჯავთ იმ აღვილის, რო-
მელიც ამ ბეგოებით იყო დაფარული. ხშირად დამყარებული
ადგილთან და ზევითაც ჩვენებური თუ ევროპული ვაზი
იღებს ფესვებს, რასაც მჭრელი დანით ძირში მივაჭრით.
თუ ფესვები ნამყენს დროზე არ შემოვაცალეთ, ისინი
მალე და მძლავრად გაიზრდებიან და ხელს შეუშლიან
ქვევით ამერიკულ ვაზზე გამოსულ ფესვების წესიერად
განვითარებასა და ზრდას. ამას გარდა ეს ფესვები
აფერხებენ ნამყენის შეზრდას, შეხორცებას, რის გამოც
ნამყენიც სუსტი გამოდის. დავჭრით თუ არა ნამყენებს
ფესვებს, მაშინევ ხელახლა უნდა შემოვაყაროთ მიწა, რად-
გან მიწაში მყოფი ლერწის ადგილები ნორჩია და მას შე
ადვილად სწვავს. მიწას იმ ზომამდე ვაყრით ნამყენს, რა
ზომამდიც მას წინეთ ჰქონდა შემოყრილი. ამასთან ერთად
ნამყენის ყლორტებს 4-5 გოჯის სიმაღლეზე წავაჭრით და-
ნით. ამით საზრდო ნივთიერებანი ზედმეტ ყლორტების გა-
საზრდელად არ იხარჯება და ნამყენის კარგად შეხორცებას
და შეზრდას ხელს უწყობს. ასეთივე მუშაობა უნდა გამეორ-
დეს კიდევ ერთხელ აგვისტოს დამლევამდე, რადგან ნამ-
ყენი ზევით ხელახლა გაიკეთებს ფესვებს. აგვისტოში
ფესვების დაჭრის შემდეგ ნამყენებს მიწის შემოყრა აღარ
დასჭირდება, რადგან ამ დროისათვის ამონაყარი ყლორ-
ტის კანი კარგად არის გამაგრებული. ამას გარდა აგვი-
სტოს შემდეგ შეცემი ვერ არის ისეთი მხურვალე, როგორც

ზაფხულში და ამ ყლორტებსაც ველარ დასწევავს. პირი მომ
ამის შემდეგ მხე ძალიან სჭირია ვაზის დამყნილ ადგილს
და მის ნორჩ ადგილებს რაღვანაც ის მას ამდგრებელი ყოველად

ფესვების შემოჭრა ღრუბლიან დარებში სჯობია. აგვი-
სტოში გადასინჯვის დროს გაუხარებელ გამხმარ ნამყენებს
ხელით ამოვილებთ, რაღვან შემდეგ მათი გახარების იმე-
დი ალარ არის.

სანირგედან ნაჟირების ამოლება, გადარჩევა და მათი შენახვა.

შემოდგომაზე ვაზი ზრდას ათავებს. ფოთლები მას
უყვითლდება და სცეივა. ფოთლების დაყვითლება და დაც-
ვენა იმის მაჩენებელია, რომ ნამყენმა ვაზმა წლიური
ზრდა დაამთავრა და მისი ამოთხრის დრო დადგა. ამ
საქმისთვის საჭიროა ორი მუშა. ჯერ პწყარების სიგრძეზე
მის გვერდით გაგვყავს ერთი ბარის პირის სიფართე
თხრილი. თხრილის სილრმე ცოტათი უნდა აღმატებო-
დეს ამერიკულ ვაზზე გამოსულ ფესვების სიგრძეს. (ე. ი.
დაახლოებით 6-7 გოჯის სილრმე). როცა თხრილი მზად
არის, პწყარის მეორე მხრიდან პირდაპირ ვასობთ ბარს,
შემდეგ უკან გადავწევთ მას, რითაც მიწასა და ნამყენის
ფესვებს შევარყევთ. მეორე მუშა ამ დროს ნამყენს წვერში
ხელს წაავლებს და მას თავისკენ სწევს. ამ რიგად ნამ-
ყენი უვნებლად და ადვილად ამოითხრება მიწიდან. ამ-

გვარად ნამყენის ამოთხრის დროს ნიადაგი თითქმის საკეტ
ბით გადაიბარება, რაც შემდეგი გაზაფხულისთვის უძვი
ნერგეს დამუშავება გაადვილდება. ამოთხრილ ხდლ-ნაშეკურ
კარგი ფესვები უნდა ჰქონდეს, ამასთან მას უნდა ჰქონდეს
ერთი ამონაყარი რამდენიმე კარგი კვირტით. ნამყენს გადა-
თვალიერება უნდა. გასაყიდად, ან სამუდამო აღგილზე
დასარგავად კარგი ისეთი ნამყენები, რომელთაც ფესვები
კარგი აქვს, დამყნილი ადგილი (ჭრილობა) ირგვლივ ისე
მაგრად და კარგად აქვს შეზრდილი და შეხორცებული,
რომ გადაწევ-გადმოწევით ნამყენი პირს არ აღებს და
არც იმ აღგილას ტყდება. ამას გარდა ამონაყარ ყლორტს
კარგად განვითარებული კვირტები უნდა ჰქონდეს. სანერ-
გედან ამონათხარ ნამყენებს გადათვალიერებულს და
გადარჩეულს გასხვლა უნდა. ფესვებს 1/3 ზე გამოკლებთ
მაკრატლით, ან მახვილი დანით, ლერწს კი ორ კვირტზე
ესჭრით, გადარჩეული ნამყენები უნდა შევკრათ კონე-
ბად და შევინახოთ სილაში ისე, როგორც ამერიკულს
თუ ჩეენებურ ლერწებს ვინახავთ, რის შესახებაც ზევით
თავის აღგილას გვქონდა ბაასი. რასაკეირველია, რო-
გორც სანერგეში, ისე სანერგედან ამოლებულ ნამყენების
ყველა ჯიშს თავ-თავისი სახელები აწერია. ეს გარემოება
შემდეგში არც სანერგეს პატრონს, არც მყიდველს შეც-
დომაში არ შეიყვანს და ჯიშებს ერთი მეორეში არ შე-
ურევს. სილაში ნამყენები ინახება დარგვამდე.



ზევით ჩვენ ავწერეთ ნამყენების გახარებას სანერგეში,
ჩვეულებრივი წესით, ე. ი. ნამყენს ან მაშინვე ვრგავთ
სანერგეში, ან შესახორცებლად დროებით ვინახავთ გრილ
სარდაფში, სილაში ჩაწყობილს, რის შემდეგ ვრგავთ და-
ნიშნულ ადგილას გარეთ. არსებობს მეორე წესი ნამყენე-
ბის გასახარებლად. ეს წესი გამოჩენილი მებალე-მევენახე
„რისტერი“ს მიერ არას შემოლებული. ამ შემთხვევაში
ნამყენებს სულ სხვა მოვლა და პატრონობა სჭირდება:
პირველ ყოვლისა საჭიროა სათბური, ე. ი. ისეთი შენო-
ბა—ბინა, რომელიც—ნათელია და თან მისი გათბობა
შეიძლებოდეს რეომიურით $24-25^{\circ}$ -დე. ჩვეულებრივი ინგლი-
სური წესით დამყნილ ლერწებს აწყობენ ერთი ზომის ხის
ყუთებში, რომელსაც სიგრძე, სიგანე და სიმაღლე ექნება
არა ნაკლებ 12 გოჯისა¹⁾; აწყობენ შიგ ნამყენებს ისე,
რომ მის ფენებსა და ფენებს შუა იყოს წვრილად დანა-
ყილ ნახშირ ნარევი წმინდა ხავსი. (სამ წილ ხავსს ყოფ-
ნის ერთი წილი დანაყილი ნახშირი.) ამ ნახშირ ნარევი
ხავსით კარგად უნდა იყოს ამოტენილი, როგორც ნამყენს
და ნამყენის შორის ფენები, ისე მათი ბოლო და თავებიც.
ამრიგად ნამყენები თითქმის შეხვეულია ასეთ ხავსში (ამ-
ჟამად ხავს ნარევ ნახშირის მაგიერ ხმარობენ ნახერსს).

¹⁾ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიგრძის ნამყენებს ვა-
წყობთ.

თაითოეულ ყუთში 700-1000 ცალაძღე ნამყენი ეტევა,
რაიც დამოკიდებულია ნამყენი ვაზის სიმსხოზე. სავსე კუ-
თებს ათავსებენ სათბურში მწყობრად ხარიხებზე-თანამდებ-
ზე. სათბური წინასწარ უნდა იყოს გამთბარი 15°-დე.
მას შემდეგ ემატება თანაბრობით სითბო და ავა 24-25°-დე.
ყუთებში ჩაწყობილ ნამყენებს დამყნილი თავი კვირტით
ზევით უნდა ქონდეს. რადგან ყუთში ჩასაწყობ ნამყენებს
შეხვევა არ სჭირდება, ამის გამო მათი ყუთებში ჩალაგე-
ბის დროს ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ
მუშამ მუშაობის დროს, ნამყენი აღვილები, რომლებიც
მჭიდროდ არის ენის საშუალებით ერთი მეორეზე შეერ-
თებული, არ შეარყიოს, შეანძრიოს. ვინაიდან სათბურში
შედარებით დიდი სითბოა, ხავსი მალე გამოშრება. გაშ-
რება აგრეთვე ნამყენებიც. ამ გარემოების კარგად უნდა
მივაქციოთ ყურადღება, ვინაიდან გამომშრალ ხავსში
მოთავსებული ნამყენები, შეხორცების ნაცვლად გახმება
კიდეც. ამისათვის ყოველ 3—4 დღეში ხავსი უნდა დას-
ვილდეს. საზრდო ნივთიერება ქვევიდან ზევით მიღის. ამას
გარდა ნამყენ აღვილას, საღაც მისი შეხორცება ხდება
(ჭრილობის საშუალებით) წყალში დასველება ავნებს. ამისა-
თვის ნამყენით სავსე ყუთებს ფრთხილად ორი მუშა ხე-
ლით აიღებენ და რამოდენიმე წუთით ჩასდებენ მოთბო
წყლიან აუზში ან როვში. ყუთებს წყალი 2-3 გოჯზე
უნდა შემოადგეს, რომ ნამყენ აღვილს წყალი არ მისწვ-
დეს. ამ დროს ყუთის ქვედა ძირიდან, რომელსაც რგვალი

ნახვრეტები აქვს გაკეთებული, შემოვა წყალი, სა საკ-
მაოდ გაელენთავს ხავსს, ან ნახერხს, რის შემდეგ შეუზუბს
თავის აღგილზე ვდგამთ. არამც და არამც წყალი ნამყენ-
აღგილებს არ უნდა მისწვდეს.

სათბურის მომვლელი, გამოცდილი და დახელოვნე-
ბული პირი უნდა იყოს, რადგან დაშვებული შეცდომა
და უყურადღებობა ძნელი გამოსასწორებელია და დიდ
ზარალს მოგვცემს. გადაჭარბებული სითბო ნამყენს ხარ-
შავს, გამოაშრობს, სიცივე კი ხელს შეუშლის ნამყენის
ზრდა-შეხორცებას. სამი კვირის განმავლობაში წესიერი
მოვლით და ხელის შეწყობით ნამყენი შეხორცება და
ყლორტსაც ამოილებს. ამის შემდეგ სათბურს ალარ ვათ
ზობთ, ან ნამყენიანი ყუთები სხვა უფრო გრილ აღგილ-
ში გაგვაქვს. 3-4 დღის შემდეგ კი მათ ყუთებიდან ამოვა-
წყობთ და სანერგეში გადავიტანთ დასარგავად. ხშირად
ამგვარად გახარებულ ნამყენს პირდაპირ რგავენ ხოლმე
დანიშნულ ალაგას, ზვარში. ზვარში თუ სანერგეში გადა-
ტანის წინ ნამყენებს გადარჩევა სჭირდება. შემდეგი მოვ-
ლა ნამყენების ჩვეულებრივი წესით უნდა. სათბურებიდან
ნამყენს ლრუბლიან დღეს გადაიტანენ. მიუხედავად იმისა,
რომ, როგორც დავინახეთ, სათბურებში მეტი ყურადღე-
ბაა საჭირო და სიფრთხილე, მას აქვს თავის უპრატე-
სობაც. ერთი, რომ ამით ბევრ დროს ვიგებთ და შეორე
ისა, რომ ამ წესით მეტი ნაშენი ხარობს.

თუ წესიერად მოვლილია ნამყენი, თითქმის 70-85% მდე
გაიხარებს ხოლმე, მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში

ზემოდ მოყვანილი წესით ხშირად $35^{\circ}/-50^{\circ}$, მეტი ბარომეტრის.

მართალია, ჩვენი გლეხობა საგანგებოდ მოწყობით სათბურების აგებას ვერ მოახერხებს, მარა ამას შესძლებენ ჩვენი კოლექტივები, რაი-კავშირები და საბჭოთა მეურნეობანი.

ამ უკანასკნელებმა უსათუოდ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს, მეტადრე კახეთში, საღაც ფილოქსერა დიდ საფრთხეს უმშადებს მათ.

— : —

რა პირობები უნდა დაფიცვათ ვაზის მყნობის დროს და როგორ უნდა მოუაროთ მათ?

1) საძირე ლერწი საღი და ნედლი უნდა იქნეს, თანაც საშუალო ზომის-სისხოთი, არა ნაკლები ჩვეულებრივი ფანჯრისა და არა უმსხოსი ნეკის თითისა.

2) ვისაც საკუთარი საჩქოლე, სადედო აქვს, სჯობს ლერწი აიჭრას აღრე, გაზაფხულზე, სანამ წვენის მოძრაობა დაიწყებოდეს და სანამ მყნობის დროც კარზე მოგვადგებოდეს.

3) უცხოეთიდან, ან სხვა ადგილიდან მიღებულ ლერწს აუცილებლად დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს ხმარებამდე. ლერწის სადეზინფექციოთ უნდა ვიხმაროთ შემდეგი სითხე: 100 ფუთ წყალზე 1 ფუთი შაბიამანი 1 ფუთი ჯადვარი, ანუ რკინის შაბი (მძალე შაბი), სითხე უნდა იქნეს მოთბო 20—22° მდე. ამ ხსნარში უნდა ჩავაწყოთ ლერწის კონები

და გავაჩეროთ შიგ 5 წამს, შემდეგ გავავლოთ  წყალში და ვინმაროთ სამყნელად.

4) ზომაზე დაჭრილ საძირე ლერწს მკრელი დანიშნული ჩამოეთალოს ყველა ქვირტები. იმ შემთხვევაში თუ ის ცოტათი გამომშრალია და სიცოცხლე ემჩნევა, ერთი დღით წყალში უნდა ჩავაწყოთ.

5) თუ საძირე მიწით ან სილით არის გასვრილი, აუცილებლად უნდა გაირეცხოს ან ჩვრით გაიწმინდოს.

6) ზევიდან სამყნობი სალვინე ჯიშის ლერწი, განსაკუთრებული მსხმოიარე ძირიდან უნდა იყოს აჭრილი, რასაც წინდაწინვე უნდა დანიშვნა.

7) არ არის დასაშვები საკვირტე მასალად ძალიან ხარბად აზრდილი ჯერ მოუსხმელი ლერწის ხმარება.

8) ლერწის ბოლო და წვერების ქვირტები სამყნელად არ ვარგა.

9) საკვირტე მასალის ლერწი სრულიად საღი და ცოცხალი უნდა იყოს.

10) ქვირტებ გაშლილი ლერწი სამყნობად არ ვარგა.

11) როგორც საძირე, ისე დასამყნობი სალვინე ჯიშის ლერწები ერთიდაიგივე სიმსხოსი უნდა იყოს.

12) სამყნობი დანა ძალიან მკრელი უნდა იყოს.

13) ირიბი ამონათალი, როგორც საძირეზე, ისე საკვირტეზე ერთი ხელის მოსმით უნდა გაკეთდეს; ამონათალის შესწორება ყოვლად დაუშვებელია.

14) ამონათალის შემკავშირებელი ენები დაკვირვებით უნდა კეთდებოდეს. ნამყენს, შეერთებულ ადგილებში,

სინათლე არ უნდა გადიოდეს და ნამყენი ადვილად უნდა ირყეოდეს.

15) ჩვეულებრივი წესით მყნობის დროს, ნამყენი უმოგადა უნდა იყოს შეხვეული. ცუდი შემხვევი ნამყენს დაამახინ-ჯებს.

16) ნამყენები უნდა დაირგოს საჩქოლეში — საზრდისში, როდესაც გარედ საკმაო სითბოა.

17) თუ გარედ დარგვამდე სილაში კარგად ვერ შევი-ნახავთ ნამყენს, სჯობს ის დამზადებისთანავე დაირგოს საზრდისში — (სანერგეში.)

18) ნამყენების თავზე დაყრილ მიწას (ბეგოებს) ხშირად უნდა გაფხვიერება. ყლორტის ამოყრის დროს კი ზედმეტი მიწა, თუ ასეთ შემთხვევას ადგილი ექნება, უნდა გადაე-ცალოს.

19) შაბიამანის სითხით და აგრეთვე გოგირდით ხში-რად უნდა წამლობა, ვინაიდან რაიმე სენით დაავადებული ნამყენის ნორჩი ყლორტების გამოსწორება ძნელია.

20) ნამყენ ადგილის ზევით ამოყრილი ფესვები დრო-ზე უნდა დაიჭრას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნამყენი და-სუსტდება.

21) სანერგე აუცილებლად მუდამ გაწმენდილი უნდა იყოს სარეველა ბალახებიდან.

22) თუ ზამთარი ძალიან სუსხიანი არ იცის, და ნამ-ყენს ადგილობრივად ემმარობთ, სჯობს ის ამოვილოთ სანერგედან გაზაფხულზე.

23) შემოდგომაზე ამოლებული ნამყენი უნდა შევიტოს
ნახოთ გაზაფხულამდე ოდნავ დანამულ სილაშიარი ვა უნდა შევიტოს

24) როგორც მყნობის, ისე სანერგიდან აძოლებისა
და გადარჩევის დროს საჭიროა დიდი სიტრობილე, რომ
ნამყენების ჯიშები ერთი მეორეში არ აირიოს. ყოველ
ჯიშს თავისი სახელწოდება დაეწეროს და ცალკალკი
შეკრული შეინახოს.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ, ვაზის მყნობას და
სანერგების მოვლა — პატრონობას დახელოვნებული და
გამოცდილი მევენახე — სპეციალისტები უნდა ხელმძღვა-
ნელობდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მევენახეობა
სწორი გზით ვერ წავა და დაშვებული შეცდომების შემ-
დეგ გასწორება მეტად ძნელი იქნება.



1. წანასიტყვაობა.	7
2. ფილოქსერა.	13
3. ამერიკული ვაზი.	17
4. ამერიკულ ამერიკული გიბრიდები.	17
5. რიპარია რუპესტრის 3309.	17
6. რაპარია რუპესტრის 3306.	18
7. რიპარია რუპესტრის 101-14.	18
8. ბერლანდიერი რუპესტრის 420ა.	18
9. ფრანგულ ამერიკული გიბრიდები.	19
10. შასლა ბერლანდიერი 41ბ	"
11. არამონ რუპესტრის განზენ №1	"
12. შურვედრ რუპესტრის 1202	"
13. მყნობა და მისთვის საჭირო პირობები	20
14. სამყენი ლერწების ამორჩევა და შენახვა მყნობამდე.	25
15. მყნობის დრო, კეირტებისა და საძირეს დიმზადება.	28
16. მყნობა და სანერგე (საზრდისი).	31
17. სანერგისათვის აღვილის ამორჩევა და დამუშავება.	36
18. ნამყენის დარგვა.	39
19. სანერგეში მუშაობა ზაფხულის განმავლობაში.	41
20. სანერგედან ნამყენების ამოლება, გადარჩევა და შენახვა.	44
21. ნამყენის გახარება საობურში.	46
22. რა პირობები უნდა დავიცვათ ვაზის მყნობის დროს და როგორ უნდა მოუაროთ მას,	49



الجامعة الإسلامية
جامعة ال:center